



ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართული ენის ს/ს ინსტიტუტი  
თსუ ბიბლიოთეკა

---

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია  
**„ენა და კულტურული იდენტობა“**

||

პროგრამა და თეზისები

28 მაისი

2026

თბილისი



ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართული ენის ს/ს ინსტიტუტი  
თსუ ბიბლიოთეკა

## სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

„ენა და კულტურული იდენტობა“



პროგრამა და თეზისები

28 მაისი  
2026  
თბილისი

## **სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:**

**დარეჯან თვალთვაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

**რამაზ ქურდაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი

**ეკატერინე ნაეროზაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი

**ზურაბ გაიპარაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, ისტორიის დოქტორი

**მაია ლომია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

**ქეთევან მარგიანი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

**სალომე ოშიაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

**გიორგი ჯღარკავა** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მონვეული ლექტორი, ფილოლოგიის დოქტორი

**ხათუნა ჩუგოშვილი** – შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზის ხელმძღვანელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

## **რეგლამენტი:**

**მოსხენება** – 10 წუთი

**დისკუსია** – 5 წუთი

**სამუშაო ენა** – ქართული

## პროგრამა

---

ხუთშაბათი, 28 მაისი

მონაწილეთა რეგისტრაცია

13.00 – 13.15

13.15

**კონფერენციის გახსნა**

თსუ ბიბლიოთეკა, I კორპუსი, აუდიტორია 301

### მისალმებები

#### დარეჯან თვალთვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ  
მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

#### რამაზ ქურდაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ  
მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ს/ს ინსტიტუტის  
ხელმძღვანელი, პროფესორი

#### ზურაბ გაიპარაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის  
ხელმძღვანელი, ისტორიის დოქტორი

## პირველი სექცია

**სხდომის თავმჯდომარეები – ასოცირებული პროფესორი  
სალომე ომიადე, ფილოლოგიის დოქტორი გიორგი ჯღარკავა**

13:30 – 14:15

**თსუ I კორპუსი, აუდიტორია 301**

### საბა ცაავა

*მაგისტრატურის I კურსი, ქართველური ენათმეცნიერება*

**„არ“ ნაწილაკის ფუნქცია „ვინც / რაც / სადაც... (არ) უნდა  
იყოს“ ტიპის კონსტრუქციებში**

**ხელმძღვანელი:** ასოცირებული პროფესორი სალომე ომიადე

### ლელა მამულაძე

*მაგისტრატურის I კურსი, ქართველური ენათმეცნიერება*

**ენობრივი შეცდომები საბუნებისმეტყველო საგნების საბაზო  
საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებში**

**ხელმძღვანელი:** ასოცირებული პროფესორი სალომე ომიადე

### ნინო ღვედაშვილი

*მაგისტრატურის I კურსი, ქართველური ენათმეცნიერება*

**სომატონიმები მევენახეობის ლექსიკაში**

**ხელმძღვანელი:** ასოცირებული პროფესორი სალომე ომიადე

## შესვენება

14:15 – 14:30

## მეორე სექცია

სხდომის თავმჯდომარეები – ასოცირებული პროფესორი მაია  
ლომია, თსუ მაგისტრანტი მარიტა აშორტია

14:30 – 15:15

თსუ I კორპუსი, აუდიტორია 301

### მარიტა აშორტია

მაგისტრატურის II კურსი, ქართველური ენათმეცნიერება

**სოფელ ხუნწის (მარტვილის მუნიციპალიტეტი) პარალელურ  
მიკროტოპონიმთა ენობრივი ანალიზი**

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაია ლომია

### ხატია კიკაღეიშვილი

ბაკალავრიატის IV კურსი, ქართული ფილოლოგია

**ლექსემა „დედის“ მონაწილეობით შექმნილ შესიტყვებათა  
სტრუქტურული ანალიზი გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხის“  
მიხედვით**

ხელმძღვანელი: დოქტორანტი ნანა შოშიაშვილი

### რუსუდან სულუაშვილი, ლიზა ქავთარაძე

ბაკალავრიატის III კურსი, ქართული ფილოლოგია

**ქართული ფულის სახელწოდების აღმნიშვნელი ლექსიკური  
ერთეულები (კ.დანელიას საგაზეთო სტატიის მიხედვით)**

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაია ლომია

## კონფერენციის დახურვა

15:15



---

# თ ე ზ ი ს ე ბ ი

## მარიტა აშორტია

### სოფელ ხუნნის (მარტვილის მუნიციპალიტეტი) პარალელურ მიკროტოპონიმთა ენობრივი ანალიზი <sup>1</sup>

**საკვანძო სიტყვები:** სამეგრელო, ხუნნი, მიკროტოპონიმი.

ხუნნი მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელია. იგი იმერეთის ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარეობს და ესაზღვრება იმერეთის რეგიონს, კერძოდ, ხონის მუნიციპალიტეტს. ხუნნში შინა მოხმარების ენა მეგრულია, ხონში – იმერული დიალექტი. მეგრული ენისა და იმერული დიალექტის მატარებელთათვის საერთო სალიტერატურო ენა ქართულია. ამის გამო სამეცნიერო ლიტერატურაში ს. ხუნნის მიკროტოპონიმები პარალელური ქართულ-მეგრული ფორმებითაა დადასტურებული. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია ს. ხუნნის შემდეგი პარალელური მიკროტოპონიმები: ორეკეში/სალეკია; ოჭუბურე/სანაბალია და სხვ. (ი.ყიფშიძე). აღნიშნული მიკროტოპონიმების მეგრული დასახელება თავდაპირველია, ხოლო ქართული დაემატა მას შემდეგ, რაც სამეგრელოს ადმინისტრაციულმა საზღვარმა ცხენისწყლიდან მდ. ნოღელაზე გადმოინია (ალ. ცაგარელი).

მოხსენების მიზანია, სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილი ს. ხუნნის მიკროტოპონიმების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი და სადღეისო მდგომარეობის შეფასება.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მიკროტოპონიმების სტრუქტურულ – სემანტიკური ანალიზის საფუძველზე გამოიყო წარმოქმნილ სახელთა სხვადასხვა ჯგუფი, კერძოდ: წინავითარების,

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) MR-25-187 საგრანტო პროექტის ფარგლებში.

დანიშნულების, კრებითობის აღმნიშვნელი და სხვ. მაგ.: ნა-ჯიხ-უ; ო-ჭუბ-ურ-ე და სხვ. ნა-ჯიხ-უ: ნა- -უ წინავითარების მანარმოებელია, ხოლო ფუძე /ჯიხა/ შეესატყვისება ქართულ /ციხე/ ფუძეს; ეს არის ადგილი, სადაც ადრე ციხე იდგა. ო-ჭუბ-ურ-ე: ო- -ურ დანიშნულების მანარმოებელი, ფუძე /ჭუბურ/, რომელიც შეესატყვისება ქართულ ნაბლს; ეს არის ადგილი, სადაც ბევრი ნაბლი ხარობს. საველე სამუშაოების დროს გამოვლინდა, რომ ზემოაღნიშნული ორენოვანი დასახელება მოშლილია და მხოლოდ მეგრულია შენარჩუნებული, თუმცა გაჩენილია ახალი მიკროტოპონიმები ქართული დასახელებით, რომელთა სტრუქტურული ანალიზი ცხადყოფს, რომ ძირიც ქართულია და მანარმოებელი აფიქსიც, მაგ: სა-ისლ-ე, სა- -ე დანიშნულების აფიქსი, ხოლო ისლი ჭაობის მცენარე, რომელსაც გადასახურად იყენებდნენ.

## ხატია კიკალეიშვილი

### **ლექსემა „დედის“ მონანილეობით შექმნილ შესიტყვებათა სტრუქტურული ანალიზი გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხის“ მიხედვით**

**საკვანძო სიტყვები:** დედა, „ნატვრის ხე“, ლეონიძე, სტრუქტურა.

გიორგი ლეონიძის წერის სტილს, სიტყვის სიღრმესა და ფერადოვნებას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. მისი შემოქმედება ძირითადად ნასაზრდოებია ხალხური მეტყველებით, რომელიც გამოირჩევა თავისი ხასიათითა და მრავალფეროვნებით. მწერალს ლექსიკური ინდივიდუალიზმი ახასიათებს, თავადვე შენიშნავს: „მე სიტყვას ფიზიკურად განვიცდი, ყნოსვით ვიგებ, რომელ სიტყვას უდგას სისხლი, რომელია უსისხლო, მიმჭკნარი“ (ლეონიძე 2000:616).

საკვლევ ობიექტად გამოყენებულია გიორგი ლეონიძის მოთხრობათა კრებული „ნატვრის ხე“. მწერლის ენაზე დაკვირვებისას ყურადღება მიიქცია ლექსემა „დედამ“ და მისი მონანილეობით

შექმნილმა შესიტყვეებმა. ნაშრომის მიზანიც სწორედ „დედის“ მონაწილეობით შექმნილი შესიტყვეების სტრუქტურული ანალიზი იქნება. გამოვყოფთ:

ა) რომელი აფიქსებითაა ნაწარმოები ლექსემა „დედის“ მონაწილეობით შექმნილი წარმოქმნილი სიტყვები (უ-დედ-ო, ნა-დედ-ობ-ი, დედ-ილ-ა, დედ-ილ-ო, დედ-ობრივ-ი...);

ბ) რომელი მეტყველების ნაწილთან ქმნის კომპოზიტს (მაგ.: კუთვნილებით ნაცვალსახელთან – დედაჩემი, დედაშენი...; არსებით სახელთან – დედაკაცი, დედამინა...; ზედსართავ სახელთან – ბებერდედა...);

გ) როგორია წყობა კომპოზიტში შემავალ სიტყვებს შორის (დედაბერი, ბერ-დედა...);

დ) გვხვდება თუ არა ლექსემა „დედის“ მონაწილეობით ისეთი შესიტყვეებები, რომლებიც უშუალოდ ლეონიძისეულია.

აღნიშნული კვლევა კიდევ ერთხელ წარმოაჩენს გიორგი ლეონიძის ენათშემოქმედების განსაკუთრებულ ნიჭს.

## ლელა მამულაძე

### ენობრივი შეცდომები საბუნებისმეტყველო საგნების საბაზო საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებში

**საკვანძო სიტყვები:** მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომები, სინტაქსურ-სტილისტიკური დარღვევები, პუნქტუაციური შეცდომები.

სახელმძღვანელოს ენობრივ გამართულობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული როგორც საგნობრივი ცოდნის ათვისების ხარისხი, ასევე მოსწავლის დედაენობრივი კომპეტენციის შექმნა-განმტკიცება. პედაგოგიური საქმიანობიდან გამომდინარე, დავინტერესდით აღნიშნული საკითხით, რისთვისაც გავაანალიზეთ ბიოლოგიის (IX კლასი), ქიმიისა (VIII კლასი) და ფიზიკის (VIII კლასი) სახელმძღვანელოები.

დასახელებულ სახელმძღვანელოებში წარმოდგენილ ტექსტებზე დაკვირვებით გამოვავლინეთ როგორც სტილისტიკური უზუსტობანი, ასევე გრამატიკული შეცდომები. ყველაზე ხშირია ისეთ სახელურ-ზმნურ შესიტყვებათა ხმარება, რომლებშიც ზმნა შინაარსისაგან დაცლილია, ხოლო სემანტიკური ფუნქცია საწყისს ან მნიშვნელობით მასთან ახლოს მდგომ სახელს ეკისრება: „ხდება განცალკევება“; „ხდება დაგროვება“; „ხდება გადაცემა“ და მისთ. ამგვარ შესიტყვებათა ნაცვლად უფრო ბუნებრივი მარტივ ზმნა-შემასმენელთა ხმარება იქნებოდა. აღწერით ფორმათა სიჭარბე სინტაქსურ-სტილისტიკური თვალსაზრისით გაუმართავ წინადადებებს ქმნის. ამდენად, სასურველია ავტორებმა უპირატესობა მარტივ ზმნებს მიანიჭონ.

ორთოგრაფიულ შეცდომათა შორის უნდა გამოვყოთ კომპოზიტებისა და რიცხვითი სახელების უმართებულო დაწერილობის შემთხვევები (r რადიუსიანი, მე-27, 11-ე...). მორფოლოგიურ შეცდომათაგან უნდა დავასახელოთ ზმნისწინთა, პირისა და თემის ნიშანთა მართლწერის დარღვევები (ანვითარებს, გახლიჩავს...). არც სინტაქსური შეცდომებია იშვიათი (ქარხნებში და ფაბრიკებში; იგივე სიმაღლეზე; ჩვენს მიერ...). პუნქტუაციის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს წერტილის დასმა სათაურების ბოლოს, მძიმის დაკლება რთულ ქვეწყობილ წინადადებებში, აგრეთვე, მძიმის უგულებელყოფა განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებთან.

დასახელებული შეცდომები მხოლოდ ნაწილია იმ შემთხვევებისა, რომლებსაც მოხსენებაში განვიხილავთ.

ნებისმიერი სახელმძღვანელოს ენა შეცდომებისაგან დაზღვეული, სანიმუშო უნდა იყოს, რადგან მოსწავლეები სახელმძღვანელოებით, კონკრეტული საგნობრივი ცოდნის მიღებასთან ერთად, მართლმეტყველებასა და სწორად წერასაც უნდა სწავლობდნენ.

## რუსუდან სულუაშვილი, ლიზა ქავთარაძე

### ქართული ფულის სახელწოდების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები (კ. დანელიას საგაზეთო სტატიის მიხედვით)

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ფული, კორნელი დანელია, მარჩილი, ქართი, კერმა.

მოხსენებაში განხილულია კ. დანელიას საგაზეთო სტატია ქართული ეროვნული ვალუტის სახელწოდების შერჩევასთან დაკავშირებით („ქართული ფულის სახელწოდებისთვის“, „ლიტერატურული საქართველო“, 8 მარტი, 1991, გვ: 6-7 და 16). უნდა ითქვას, რომ ფულის სახელის განსაზღვრა უკავშირდება ეროვნული იდენტობისა და ისტორიული მემკვიდრეობის ურთიერთმიმართებას. მუდმივი ოკუპაციებისა და ეკონომიკური ექსპანსიის გამო იშვიათად მოიპოვება წმინდა ეროვნული სახელწოდებები. ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთ „სახალხო განათლების“ 1990 წლის 22 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ნ. ჯავახიშვილის წერილი „რა დავარქვათ ქართულ ფულს?“ კ. დანელიაც თავის სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ეს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხია და სერიოზულად, კვალიფიციურად, მეცნიერულად სამსჯელო“. ამასთანავე ის იწონებს პრესაში ამ საკითხზე დაწყებულ მსჯელობას.

საგაზეთო სტატიის ავტორი არ უარყოფს ნ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომ „ჩვენი მიძიმე და ტრაგიკული ხვედრის გამო ქართული ფულის 2500-წლიან ისტორიაში იშვიათად მოიპოვებოდა ფულის ნამდვილი ეროვნული სახელწოდებები“. ის ყურადღებას ამახვილებს შემდეგ დასახელებებზე: **მარჩილი, ქართი და კერმა**. ქართი, როგორც ეთნიკურ ფუძეზე დამყარებული ფულის სახელწოდება, კერმა – ქართული მონეტის, ხურდა ფულის აღმნიშვნელი სახელი, ხოლო რაც შეეხება მარჩილს, ის უნდა იყოს ვენეციური „მარჩელოსგან“ მომდინარე. რ. შენგელია უარყოფს ლექსემა „მარჩილის“ იტალიურ წარმომავლობას და ამტკიცებს მის ქართულობას, მაგრამ კ. დანელიას არგუმენტით უარყოფილია იგი. მას წარმოდგენილი აქვს „არჩ“ ძირისგან მიღებული სიტყვები (არჩევანი, არჩვი,

არჩილი, მარჩენალი, არჩი...), რომელთაც საერთო არ აქვთ ლექსემა „მარჩილთან“.

სტატიის ბოლოს კ. დანელია განიხილავს კიდევ ორ ერთეულს, ესენია: **მწვლილი** და **დრამა** (მანეთის ეკვივალენტი უნდა ყოფილიყო დრამა, ხოლო კაპიკის – მწვლილი). მწვლილი დასტურდება ბიბლიურ წიგნთა ძველ ქართულ ვერსიებში, ხოლო დრამა ბერძნულ *დრაქმე/დრაქმა*-სგან მოდის, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი ხმარების სიტყვაა ქართულში (V საუკუნიდან), ასევე რუსთაველიც იყენებდა მას სამი მნიშვნელობით: ფულის, წონისა და სიმცირის აღსანიშნად. დასასრულს კ. დანელია აღნიშნავს იმასაც, რომ „ქართული ფულის სახელწოდებებად რაც უფრო მეტი ერთეული იქნება შემოთავაზებული, მით უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებათ დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურთ, რომ ვარიანტთაგან უკეთესი აარჩიონ“.

## ნინო ღვედაშვილი

### სომატონიმები მევენახეობის ლექსიკაში

**საკვანძო სიტყვები:** მეტაფორიზაცია, ანთროპოცენტრიზმი, დარგობრივი ლექსიკა.

სომატონიმები ლექსიკის უძველეს ფენას მიეკუთვნებიან. აღნიშნული ჯგუფის ერთეულებს მეტაფორიზაციის მაღალი ხარისხი გამოარჩევთ, რითიც აიხსნება მათი ხშირი მონაწილეობა ადამიანის ფიზიკური თუ ემოციური მდგომარეობის აღმწერ ფრაზეოლოგიზმებში. მნიშვნელობის გადატანის გზით სომატონიმები სხვადასხვა დარგის, მათ შორის მევენახეობის, ლექსიკის შემადგენლებადაც გვევლინებიან. ადამიანის სხეულის ნაწილთა სახელებსა და მათგან ნაწარმოებ სიტყვებს უმეტესად ვაზის აგებულებისა და განვითარების აღწერა-სახელდება ეკისრებათ.

ჩვენი მიზანია სამყაროს ენობრივი ხედვის ანთროპოცენტრული ხასიათით ავხსნათ და ვაჩვენოთ, როგორ ხდება ადამიანის ანატომია ვაზის აგებულების მოდელი. რისთვისაც გავაანალიზეთ

მევენახეობის ლექსიკაში შემავალი **სომატონიმები** (თავი, ქოჩორი, ყური, თვალი, კბილი, უღვაში, კინწი, ტანი, მხარი, მუხლი, სახსარი, ქუსლი, ფრჩხილი, გული), **მათგან წარმოქმნილი სახელები** (ნამხრევი, ნამუხლი, ნაყვ-ლი, მხრიანი, მოკლემუხლიანი, აფფეხა, ხელშავი) და **ნასახელარი ზმნები** (დაიმუხლება, გადამუხლავს, გამოყელავს, დაყვ-დება).

დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ სომატონიმების გამოყენება მევენახეობის ლექსიკაში უმეტესად ვიზუალურ, ფუნქციურ და სტრუქტურულ მსგავსება-შესაბამისობას ეფუძნება. მართალია, მოტივაცია იგივეა, როდესაც ადამიანის სხეულის ნაწილთა სახელები სხვადასხვა საგნის ნაწილთა სახელებად გამოიყენება (დოქის ტუჩი, ქოთნის ყური, მაგიდის ფეხი და სხვ.), მაგრამ გადატანითი სიტყვახმარება მევენახეობის ლექსიკაში უფრო ხშირია, რასაც ქართველი კაცის ვაზისადმი დამოკიდებულება განაპირობებს. ვაზი საკრალური მცენარეა ქართველთათვის. მისი მოვლა დიდ შრომასთან არის დაკავშირებული, ვაზი ჩვილივით მუდმივ ყურადღებას, ზრუნვასა და ფაქიზ მოპყრობას მოითხოვს (შდრ. „ვაზო, შვილივით ნაზარდო“). სწორედ ამიტომ ხდება ვაზის „გაადამიანება“.

ამრიგად, სომატონიმების შესწავლა მევენახეობის ლექსიკაში გვაძლევს შესაძლებლობას დავაკვირდეთ, თუ როგორ ყალიბდება დარგობრივი ლექსიკა მეტაფორული აზროვნების, მნიშვნელობის გადატანის საფუძველზე.

## საბა ცაავა

### **„არ“ ნაწილაკის ფუნქცია „ვინც / რაც / სადაც... (არ) უნდა იყოს“ ტიპის კონსტრუქციებში**

**საკვანძო სიტყვები:** ქართული დისკურსი, უარყოფითი კონსტრუქცია, ნაწილაკის მტკიცებით-გამაძლიერებელი ფუნქცია.

ჩვენი მიზანია დავაკვირდეთ „არ“ ნაწილაკის ფუნქციას თანამედროვე ქართულ დისკურსში გავრცელებულ „ვინც / რაც / სადაც... (არ) უნდა იყოს“ ტიპის კონსტრუქციებში.

ამ სახის გამოთქმები გვხვდება რთულ ქვეწყობილ, კერძოდ, დათმობით დამოკიდებულ წინადადებებში.

განსახილველ კონსტრუქციათა ძირითადი სემანტიკური ნიშანია კატეგორიულობა. მათი მოდალური შინაარსი და კონსტრუქციული სიმყარე ჩართულ სიტყვა-გამოთქმებს ემსგავსება.

გავრცელებული მოსაზრებით, ამ ტიპის გამოთქმებში „არ“ ნაწილაკი ზედმეტია, მისი ჩართვა რუსულის გავლენას მიეწერება და სალიტერატურო ქართულისათვის უმართებულოდაა მიჩნეული. დავიმონებთ ივ. იმნაიშვილის სიტყვებს:

„რას ვღებულობთ, როცა ვამბობთ: რა ძვირადაც არ უნდა დამიჯდეს ამ საქმეს მაინც შეევასრულებო? თურმე საქმის შესრულება ძვირად არ ჯდება, ძალიან ადვილია, ჩვენ კი ვიჭაჭებით და რიხით ვაცხადებთ: ამ საქმეს მაინც შეევასრულებო. ეს ხომ ულოგიკობაა, სხვა არაფერი“.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ქართულში „არ“ ნაწილაკიანი კონსტრუქციები ბევრად სჭარბობს უნაწილაკოს, რაც გვაფიქრებინებს, რომ მსგავს შემთხვევებში „არ“ ნაწილაკი სულაც არ გამოხატავს უარყოფითობას და საჭიროა ყურადღების გამახვილება მის განსხვავებულ სემანტიკურ ფუნქციაზე.

ამისათვის მოვიძიეთ სხვა ისეთი კონსტრუქციები, რომლებშიც „არ“ ნაწილაკის საჭიროება ეჭვს არ იწვევს და, ამავდროს, „არ“ დაცლილია უარყოფითობის შინაარსისაგან.

კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, ყურადღება გავამახვი-

ლეთ „არ“ ნაწილაკის ორ სემანტიკურ ფუნქციაზე (რომელთა შორის საზღვარი პირობითია): 1. „არ“ **მაინტენსივებელია** ორმაგი უარყოფის ისეთ შემთხვევებში, რომლებიც სტილითაა შეპირობებული და არა სინტაქსით – „არავინ არ დაიდრა“ // „არავინ დაიდრა“; 2. „არ“ **მტკიცებით-დადასტურებითაა** შემდეგი ტიპის კონსტრუქციებში: „როგორ არ ეცადა, წარმატებული დებიუტი ჰქონოდა, მაინც არაფერი გამოუვიდა“ (შდრ. როგორ არ ეცადა = ყველანაირად ეცადა).

ჩვენი აზრით, „არ“ ნაწილაკს „ვინც / რაც / სადაც... (არ) უნდა იყოს“ ტიპის კონსტრუქციაში მტკიცებით-გამაძლიერებელი ფუნქცია აქვს, რაზედაც ვრცლად მოხსენებაში ვისაუბრებთ.

